ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6031513

ნომერი: AR1911082

თარიღი : 07.07.2022

გაცემის თარიღი : 12.07.2022

გაცნობის თარიღი : 12.07.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ათონელი , N 27 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი ათონელის , N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთი ახალკაცი პ/ნ 57001058180
- ხაშური ს. ალი

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "სტ ლოჯიკ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405291250
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლაშა კვაჭაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006009881

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2095.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 557.8
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1891.87

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1810.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 81.87
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 7.96
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 7.76
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.2

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილ თქვენს 07/07/2022 წლის AR1911082 განაცხადთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ.თბილისში, ათონელის ქ.N27; გიორგი ათონელის ქ.N27-ში არსებულ შენობა-ნაგებობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და ვრცელდება მთელ საკადასტრო ერთეულზე.

განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, "ძეგლის რეკონსტრუქცია – დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება."

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას, ქ.თბილისში, ათონელის ქ.N27; გიორგი ათონელის ქ.N27-ში არსებული შენობების დემონტაჟის თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.